საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კამკამიძე გიორგი კონსტანტინეს ძე

კამკამიძე გიორგი კონსტანტინეს ძე (დ. 31. VII. 1968, თბილისი), იმუნოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (2005), თსსუ-ის ასოცირებული პროფესორი, ქართულ-ამერიკული უნ-ტის სრული პროფესორი (2017), ილიას სახელმწ. უნ-ტის მოწვეული პროფესორი (2015).

1991 დაამთავრა თსსი. 1994–97 იყო ბავშვთა რეაბილიტაციის რესპ. ცენტრის პოლიკლინიკის ალერგოლოგი; 1997–2001 – შიდსის და კლინ. იმუნოლოგიის რესპ. ცენტრის განყ-ბის გამგე. 1998–2000 პოსტდოქტორანტურა გაიარა მოლეკულურ ვირუსოლოგიაში (აშშ; ქ. ოლბანის ვოდსვორსის ლაბორატორია და სამეცნ.-კვლ. ცენტრი), 2000–01 – უჯრედულ იმუნოლოგიაში (პარიზი, პიტიე სალპეტრიეს ჰოსპიტალი), 2006– 09 – მაგისტრატურის კურსი ბიოსტატისტიკის განხრით (ნიუ-იორკის სახელმწ. უნ-ტი). 2008–10 იყო სამედ. ცენტრ „ნეოკლინიკის" დირექტორი; 2012–13 – რ. ლუგარის საზ. ჯანმრთელობის სამეცნ.-კვლ. ცენტრის ლაბორატორიის ხელმძღვანელი; 2008–10 – თსსუ-ის ასოცირებული პროფესორი; 2010-იდან – კლინიკა „ნეოლაბის" დირექტორი.

კ-ის სამეცნ. ინტერესის სფეროს წარმოადგენს ბრონქოსპაზმის პათოგენეზისა და მკურნალობის საკითხები, ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის კონცენტრაციის განსაზღვრის მეთოდი, შიდსის იმუნოპათოგენეზი და სხვ.

კ. არის საქართვ. და საერთაშ. ასოციაციებისა და საზ-ბების წევრი, მრავალი სამეცნ. ნაშრომის, მ. შ. 2 მონოგრაფიის ავტორი.

თხზ.: აივ ინფექცია, თბ., 2002 (თანაავტ.); ინფექციათა გადაცემა დედიდან ბავშვზე, თბ., 2003 (თანაავტ.).